ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 01 მარტის ბრძანებით
შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი N1

2023 წლის 14 აგვისტოს 16 საათზე ჩატარდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით ჩერქეზიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები:

გიორგი ლომთაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - თანათავმჯდომარე;
ალექსანდრე ქათამაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
თეიმურაზ ცქიფურიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი;
მანული გაბრიჭიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტირებისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტირების საკითხებში - სამუშაო ჯგუფის წევრი;
ჯონდო ქასრაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
ზაზა ზოსიაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
კახაბერ ბოჭორიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
კობა რობაქიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯამრთელობისა და სოციალური მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
ირაკლი მერკვილაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
ვახტანგი გვენეტაძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
დავით აბაშიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
ქეთევან გოცირიძე-ბრეგაძე - ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
გიორგი ცქიფურიშვილი - ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების დირექტორი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
ვარლამ კობახიძე - ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დირექტორი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ალეკო ფანჩულიძე - ა.(ა.)ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
მადონა ქასრაძე - ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯამრთელობის ცენტრის დირექტორი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
მაია თორთლაძე -ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის დირექტორი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
თეიმურაზ ქელბაქიანი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

დღის წესრიგი:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა: სმუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2024-2027 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები(ჭერები) შედეგების მოწონების შესხებ.

მომხსენებელი თეიმურაზ ცქიფურიშვილი.

დავით ჩერქეზიშვილმა კენჭი უყარა, თუ ვინ არის მომხრე, დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ტყიბულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში.

,,პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა წარმოადგინა ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი და ზღვრული მოცულობები. ამასთან ერთად აღინიშნა, რომ დამატებითი რესურსების მობილიზების შემთხვევაში, შემდგომში შესაძლებელი იქნება გადაიხედოს 2024-2027 წლების პრიორიტეტების და პროგრამების ზღვრული მოცულობები.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე დავით ჩერქეზიშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებს სთხოვა კენჭი ეყარათ, თუ ვინ არის მომხრე, მოწონებული იქნეს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2024-2027 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

კენჭისყრის შედეგად, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, **სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა:** მოწონებული იქნას ტყიბულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში და სთხოვა ადმინისტრაციისა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს საბიუჯეტო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით:

- ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების შემდგომ ადმინისტრაციისა დასაფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა პროგრამების განმახორციელებელ დარგობრივ სამსახურებს და ა(ა)იპ-ებს გაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმები.
- მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე პროგრამების განმახორციელებელმა შესაბამისმა დარგობრივმა სამსახურებმა და ა(ა)იპ-ებმა, ადმინისტრაციული და საფინანსო-

საბიუჯეტო სამსახურს საბიუჯეტო განაცხადის შევსებული ფორმები წარუდგინონ მინიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის პირველადი ვარიანტით დადგენილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში. ამასთან, ზღვრული მოცულობების ზემოთ ასიგნებები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას საბიუჯეტო განაცხადის ფორმით განსაზღვრული წესის შესაბამისად. კერძოდ, მოთხოვნილი გაზრდილი დაფინანსება დასაბუთებული უნდა იქნას პროგრამის ინდიკატორის გაზრდილი სამიზნე მაჩვენებლით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ დავით ჩერქეზიშვილმა სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: დ. ჩერქეზიშვილი

სამუშაო ჯგუფის წევრები

გ.ლომთაძე

ა.ქათამაძე

მ.გაბრიჭიძე

ჯ.ქასრაშვილი

ზ. ზოსიაშვილი

ვ. ბოჭორიშვილი

კ.რობაქიძე

დ. აბაშიძე

ი. მერკვილაძე

ქ. გოცირიძე-ბრეგაძე

ვ. კობახიძე

ვ. გვენეტაძე

ა. ფანჩულიძე

გ. ცქიფურიშვილი

მ. თორთლაძე

მ. ქასრაძე

თ. ქელბაქიანი

თ. ცქიფურიშვილი